ინტეგრაციისა და უცხოელებთან ურთიერთობაზე

ინტეგრაციისა და უცხოელებთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირის ამოცანები პირველ რიგში გაწერილია კონსტიტუციის მუხლ 3-სა და ქვემუხლ 3-ში, ასევე საქსონიის მიწის კონსტიტუციის მუხლ 18-სა და ქვემუხლი 3-ში, სადაც აღნიშნულია, რომ:

„არავის შეიძლება მიენიჭოს უპირატესობა, ისევე, როგორც არავინ შეიძლება დაიჩაგროს თავისი სქესის, წარმომავლობის, რასის, ენის, სამშობლოსა და დაბადების ადგილის, რწმენის, რელიგიური თუ პოლიტიკური მსოფლმხედველობის გამო“.

ინტეგრაციისა და უცხოელებთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირის მიზანია, ხელი შეუწყოს მიგრანტთა ინტეგრაციას ყოფით დონეზე და წვლილი შეიტანოს არსებული სტრუქტურული თუ ინდივიდუალური შევიწროების აღკვეთის საქმეში.

ინტეგრაციისა და უცხოელებთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირის მოვალეობებში შედის:

- სხვადასხვა ღონისძიებების, სემინარების, მედიასსშუალებების, აქციების, ინფორმირების, ბროშურების მიწოდების გზით მიგრანტთა საზოგადოებაში, თუ საქმიან წრეებში ინტეგრაციისთვის საჭირო ცნობიერების ჩამოყალიბებისთვის ხელშეწყობა
- დრეზდენში მცხოვრებ მიგრანტ მამაკაცთა და ქალთა რეალური ცხოვრების პირობების ანალიზი სიტუაციის პერიოდული დაკვირვებების დამუშავების გზით
- უკვე არსებული დაზარალების აღკვეთა ან მომავალში შესაძლო დაზარალების თავიდან არიდება პროექტების შემუშავებისა და მუნიციპალურ ერთეულში სიტუაციაში გარკვევის გზით
- მიგრანტებისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა ისეთ ყოფით საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა დასაქმება, ჯანდაცვა, აღზრდა, ოჯახი, განათლება, კულტურა, ქალაქის დაგეგმარება, პოლიტიკა და სხვა, ასევე სრული სოციალური გარემოს უზრუნველყოფა
    - მნიშვნელოვან ორგანოებზე ზემოქმედების გზით
    - ინტეგრაციისა და უცხოელთა სამსახურთან თანამშრომლობით
    - საინტეგრაციო პოლიტიკური წინადადებებისა და მოთხოვნების წამოჭრა და
    - ქალაქის საბჭოს პროექტების შესწავლა და მოსაზრებების დამუშავება
- ქალაქის საბჭოს წარმომადგენლებთან, წარმომადგენლობით ორგანოსთან, გაერთიანებებთან, კავშირებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობა
- მიგრანტთა ინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებით ცალკეული მოხელეს მუშაობის ზედამხედველობა და კონტროლი
- ცალკეულ შემთხვევაში იმ მიგრანტ მამაკაცთა და ქალთა პირველადი კონსულტაციის გაწევა, რომლებიც რჩევას საჭიროებენ
- ინიციატივებისა და გაერთიანებების საქმიანობების მხარდაჭერა
- გოგონებთან და ბიჭებთან კულტურათაშორისი სამუშაოს გაწევის მხარდაჭერა
- ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის დამუშავება, წარმოება და განხორციელება

(Landeshauptstadt Dresden, Integrations- und Ausländerbeauftragte, auslaenderbeauftragte@dresden.de, Stand: November 2023)